15.05.2023 **თბილისი**

OUT15052023/001

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

გავეცანით კომუნიკაციების კომისიის ვებგვრედზე გამოქვეყნებულ დოკუმენტს 5G აუქციონის შესახებ.

პირველ რიგში, მივესალმებით, კომისიის გადაწყვეტილებას საუქციონო სიხშირეებზე MVNO ვალდებულების დაწესების შესახებ. თუმცა, ამავდროულად ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ არ არის MVNO დაშვების ვალდებულება დაწესებული 800 მჰც ზოლზე. თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ 2019 წლიდან მოყოლებული, როდესაც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება MVNO-ების დაშვების შესახებ MVNO მსურველი ოპერატორები, მათ შორის ჩვენ ვცდილობთ მოვიპოვოთ MNO-ების ქსელზე დაშვება, რაც ამ დრომდე ვერ მოხერხდა. აქვე გასათვალისწინებელია, ისიც, რომ MVNO რეგულაციის შემოღება ამ დრომდე გადავადებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ კომისიამ დაგეგმილ აუქციონებში მაინც გაითვალისწინოს MVNO დაშვების ვალდებულება ყველა სიხშირეზე. შესაბამისად გთხოვთ, დააწესოთ MVNO დაშვების ვალდებულება ყველა გამოტანილ სიხშირეზე.

პატივისცემით,

შპს ,,ინექსფონის“ გენერალური დირექტორი Rati Akhvlediani 01024074068 Digitally signed by Rati Akhvlediani Date: 2023.05.15 17:09:55 /რატი ახვლედიანი/